გაზეთი ღირს

| თთვე | მან. | კ. | თთვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 70 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ ბებუთოვის ქუჩ., სახლი № 9, ბ-ნ ხიდდიკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიას.

[ფა]სი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1888 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877 1888

## ქ. ქუთაისში

[ბა]ზაროვის და ავთიაქის ქუჩების შე[ს]ართავში, ოლქის სასამართლოს მახ[ლ]ობლად, ა. გურგენოვის შენობაში, გა[იხ]სნა ამ 1888 წ. მარტის 20 რიცხვიდგან მშვენიერის მებლით მორთული

**სასტუმრო ოთახები,**

[სა]ხელდობრ **„Центральная"**. ნომ[რ]ების ფასი ზომიერია. რაც შეეხება ნომრების სისუფთავეს და სხვა იმის მორთულობას, ამაზედ თვით პატივცემულს საზოგადოებას შეუძლიან დარწმუნდეს. იქვე არის გამართული ბილიარდი.

(2—1) მაწარმოებელი პ. ბეთანოვი

ტფილისი, 8 აპრილი

ბ-ნმა ი. მეუნარგიამ ორი ლექ[ც]ია უძღვნა ჩვენის პოეტის თ. [გ]რ. ორბელიანის ცხოვრებას და [ხ]ასიათს და გვერდი აუხვია პოეტის ნაწერებს, რადგანაც იმისი ნაწერები საკმაოდ ცნობილია [ყვე]ლას საქართველოში, და პოეტის ცხოვრება და ხასიათი-კი [ქ]ართველთა უფროს-ერთისათვის დღემდის წყვდიადით გარემოცული იყო. რასაკვირველია, კარგი [და] სასიამოვნო იქნებოდა, რომ [ბ]-ნს ლექტორს პოეტის ნაწერები და ამათი ისტორია გაერჩია და ამოერკვია, მაგრამ მაინცა-და-მა[ი]ნც ნება არა გვაქვს ვუსაყვედუროთ, რადგანაც პოეტის ნაწერები ყოველს შეგნებულს ქართველს გულში აქვს ჩაჭდეული, მაშინ-როდესაც იმისი ხასიათი და ცხოვრება-კი საზოგადოებისა და მწერლობისათვის სრულიად უცნობი იყო. ვიცოდით მხოლოდ, რომ გრ. ორბელიანი დიდის პოეტურის ნიჭის პატრონი და ყოველისფრით წარჩინებული კაცი იყო, და ის-კი თითქმის არავინ იცოდა, თუ რამ შეჰქმნა და დაწნა პოეტის ხასიათი, გრძნობა-გონება, როგორ და რა გზით მუშაობდა პოეტის აზრი, როგორ უყურებდა განსვენებული ცხოვრებას და იმის მიმდინარეობას. უფროს-ერთი ჩვენის საზოგადოებისა იმ აზრისა იყო, რომ გრ. ორბელიანი, რაკი პირდაპირ მონაწილეობას არ იღებდა ცხოვრების მიმდინარეობაში, თვალყურსაც არ ადევნებს ცხოვრებას და მხოლოდ მოსვენებასა და განცხრომაში იმყოფებაო. დღეს-კი ამ მხარეს პოეტის ცხოვრებისას პირ-ბადე აჰხადა ბ-ნმა მეუნარგიამ, რომელმაც გვიამბო ის, რაც ჩვენთვის დაფარული იყო, და საზოგადოებისა და მწერლობის საკუთრებად გაჰხადა პოეტის გულის-ნადები და აზრი, დღემდის მხოლოდ კერძო წერილებში მოქცეული და დაფარული. მეუნარგიამ ორს მოკლე ლექციაშიაც მრავალი საბუთი მოგვცა პოეტის ცხოვრებისა და აზრის გასაცნობლად და ამით ბევრი შეჰმატა ჩვენს საზოგადოებას.

ეხლა ვნახოთ, როგორ გვეხატება პოეტის ცხოვრება და გონება ი. მეუნარგიას ლექციების მოსმენის შემდეგ. გრ. ორბელიანი დაიბადა ორს საუკუნეთა საზღვარზე, როცა ძველმა ახალს გზა დაუთმო და დაულოცა. მას შემდეგ პოეტის ცხოვრება ფართოფერადის ზოლივით თითქმის გუშინდელ დღემდე მოდის და ეხება ყველა საქმეებს და საგნებს, რომელიც გზაზე შეხვედრია. პოეტს, ვითარცა წარჩინებულის ჭკუისა და ხასიათის კაცს, არ შეუძლიან გვერდზე აუაროს არც ერთს თვალ-საჩინო სახელმწიფო თუ საზოგადო საქმეს, არც ერთს საზოგადო აზრსა და საჭიროებას და ასე თუ ისე ყველგან თავისი წვლილი შეაქვს, ყველაფერს თავისებურს ფერსა და გვალს სდებს. ამ აზრის დასამტკიცებლად ლექტორმა გვიამბო ჯერ ცხოვრება და თავ-გადასავალი პოეტისა და შემდეგ გაგვაცნო იმის წერილები სხვა-და-სხვა დროს სხვა-და-სხვა კაცთათვის მინაწერი. ამ წერილებში ის-კი არ არის მოქცეული, რასაც ყოველ დღე მრავალი ადამიანი სწერს, არამედ ისა, რასაც ათასი და ათი ათასი კაცი მუდმივ სცოხნის, მაგრამ მონელებით-კი ვერ მოუნელებია და ვერ შეუთვისებია. ორბელიანი თავის წერილებში ეხება ყოველს საზოგადო საქმეს და იმისი ნათელი და მართალი გონება მართლა რომ ნათელსა და სხივსა ჰფენს ყოველიფერს, რასაც პოეტი დაჰკვირვებია. ამ წერილებში მარტივად და ნათლად განმარტებულია ყველა ის საკითხავი, რომელზედაც დამოკიდებულია ქვეყნის ავი და კარგი და რომლის გარჩევა და გამორკვევა ჯერ-ჯერობით მწერლობასაც ვერ მოუხერხებია, თუმცა ეს იმისი პირდაპირი მოვალეობაა. რომელი საგანიც უნდა აიღოთ, ომი თუ მშვიდობიანობა, ხალხის გაძღომა და ჭმართვა, საეკლესიო თუ სამოსწავლო საქმე, თავად-აზნაურობის მდგომარეობა თუ სასამართლოები, ყველას შეჰხებია პოეტის გონება. თვითოეულს საგანს, რომელზედაც დამოკიდებულია ქვეყნის ავი და კარგი, ჩასჭიდებია ორბელიანის აზრი, თვითოეულის შესახებ პოეტს თავისი აზრი წარმოუთქვამს, თითქო რაღაცა საიდუმლო ძალა ნებას არ აძლევდა, რომელსამე საგულისხმო საგანს არ შეჰხებოდა.

ორბელიანის წერილები მხოლოდ საზოგადოების რაოდენობით უმცირესის ნაწილის საკუთრება იყო; ისინი აზრითაც და ფორმითაც იმდენად მშვენიერნი არიან, რომ არა ერთს წამკითხველს გულის სიღრმეში გაუჯდებოდა და გამქრალსა და გამჭკნარს აზრსა და გრძნობას გაუღვიძებდა და გაუცხოველებდა.

ორბელიანის მიწერ-მოწერა ჰქონია მრავალ მაღალ-ხარისხოვან კაცებთან და თუმცა სამწუხაროა, რომ პოეტის აზრები მაშინვე არ შეიქმნა მწერლობისა და საზოგადოების საკუთრებად, მაგრამ მაინც უეჭველია, რომ პოეტის მართალი და მარტივი სიტყვა არა ერთს ძლიერს ამა სოფლისას გაუცოცხლებდა ჰუმანიერს, კაცურს გრძნობასა და აზრს და, მაშასადამე, ...ზედ-მოქმედებას იქონიებდა ქვეყნის ავსა და კარგზე. ორბელიანის წერილები იმ გვარის ღირსებისანი არიან, რომ დღეის იქით არავის ნება არა აქვს სთქვას, ვითომ პოეტი მოსვენებასა და განცხრომაში სცხოვრებდა, ვითომ პოეტს ქვეყნისა და საზოგადოებისათვის გული არ შესტკივოდა. მეუნარგიამ ხელში ისეთი უტყუარი საბუთები მოგვცა, რომ დღეის იქით ამის შესახებ ყოველივე ეჭვი უნდა განიფანტოს. ორბელიანმა კერძოდ მინაწერ წერილებითაც-კი დაგვიმტკიცა, რომ ღრმა გრძნობა-გონება მუდმივ მოუსვენარია, მუდმივ მუშაობს, იღვწვის და ჰზრუნავს ქვეყნისათვის.

ორბელიანის წერილების უმეტესობა დიდის ხნის დაწერილია, მაგრამ არც დღეს დაუკარგავს მნიშვნელობა და ამიტომაც კერძო კუთვნილება-კი არ არის, არამედ მწერლობისა და საზოგადოების საკუთრებაა, რომელიც მწერლობამ დიდ-განძად უნდა მიიჩნიოს. ამიტომაც დიდის სიხარულით და მოუთმენლობით უნდა მოველოდეთ ბ-ნ მეუნარგიას შრომის დაბეჭდვას; მაშინ მწერლობასაც და საზოგადოებასაც საშუალება ექმნება უფრო ვრცლად და საფუძვლიანად შეისწავლოს პოეტის ვინაობა და ჩვენის ცხოვრების მიმდინარეობა.

რაც შეეხება თვით ლექციებს, უნდა ვსთქვათ, რომ მეუნარგიამ მოკლედ გვიამბო პოეტის ვითარება ...

## ფელეტონი

### უცხოთა შორის

სასწაულ-მოქმედებაა, თვალთ-მაქცობა, თუ ნამდვილი ამბავი!—უცნაური ძალა.—საყურადღებო და საოცარი ამბავი.—ცოცხალია თუ მკვდარი!—მოხუცის ვითომ მკვლელი.—უხილავი ექიმი.—წამლების საკვირველი მოქმედება.—ზნელ სათვალეებით კითხვა.—შთაგონებით მოქმედება ძილის დროს და ძილის შემდეგ.—ქურდობა სხვის ბრძანებით.—უნებლიედ ენა-ტანიობა, მაბეზღრობა.—საცა კარგია, იქ ავიც არის.—სწორედ სასწაულია!—გიბრძანებთ, აღსდეგით!—ბევრი რამ არის ჯერ კიდევ საიდუმლო!—მეცნიერება ამასაც ხელს ჩაჰკიდებს.

[დ]ღევანდელ საუბრისათვის მინდო[და] «სამეცნიერო ამბები» დამერქვა, [მაგრამ ერ]თს გარემოებას რომ არ შევეყენე[ბინე]:—ის, რასაც ქვემოდ გიამბობთ, [ისე ძალ]ზედ საოცარია, ძნელად დასაჯე[რებელი]ა, რომ უფრო სასწაულთ-მოქმე[დებ]ასა ჰგავს, ვიდრე ნამდვილს ამ[ბავ]ს. თუმცა გამოჩენილ, სახელ[გან]თქმულ მეცნიერებისაგან არის შე[მოწ]მებული ეს ამბები, მაგრამ ჯერ [კიდე]ც ვერა ვბედავთ ვთქვათ, რომ [უტ]ყუარ და შეურყეველ მეცნიერების [საფუძ]ველზეა დამყარებულიო.

ჩვენ ამას იმიტომ-კი არ ვამბობთ, რომ ვითომ მეცნიერებას ვწამებდეთ რაიმე მატყუარობას, მანქანებას, თვალთ-მაქცობას. არა,—ის, ვისაც ეკუთვნის ქვემოდ ნაამბობი, მეტად ჭეშმარიტების მოყვარე მეცნიერია და მეცნიერებაშიაც სახელი და პატივი აქვს მოპოვებული, როგორც დამჯდარსა და კეთილ-სინიდისიერს მეცნიერსა. და თუ ამ ორიოდე სიტყვის წინადთქმა საჭიროდ დავინახეთ, მხოლოდ იმიტომ-რომ,—ჩვენებურ ანდაზისა არ იყოს,—სიფრთხილეს თავი არა სტკივაო, და ფრთხილობით-კი ძლიერ ფრთხილობს თვით ის მეცნიერიც, რომელზედაც ჩვენ ლაპარაკი გვექმნება.

—«ამისი ჯერ მეც ვერა გამიგია-რა, ამას ჯერ მეც ვერ მიმხვდარვარო»—ამბობს ფრთხილი მეცნიერი,—«თუმცა აი თქვენის საკუთარის თვალით ჰხედავთ, რომ ეს ამბავი ჭორი და განგებ მოგონილი არ არისო».

მით უფრო ჰმართებს მეცნიერებას სიფრთხილე, რომ ბევრი რამ ჯერ კიდევ გაუგებარი, საოცარი და ძნელად გამოსაცნობია იმ საქმეში, რომლის გამოკვლევას, გამოძიებას დიდი ხანი არ არის, რაც მეცნიერება შესდგომია. ეს ახალი საქმე ჰიპნოტობაა, რომელზედაც ჩვენ არა ერთხელ გვქონია ლაპარაკი.

დღეს ჰიპნოტობაზე ვრცელი წიგნებია დაწერილი, ცალკე ჟურნალია დაარსებული, რომელიც თვალ-ყურს ადევნებს ყველაფერს, რაც ჰიპნოტობას შეეხება. ჩვენ, რასაკვირველია, ძალიან შორს წაგვიყვანდა, რომ გამოვსდგომოდით იმის გამორკვევას, თუ რაში მდგომარეობს ეს რაღაც უცნაური ჰიპნოტობაა. ჩვენ აქ მხოლოდ ორიოდე საყურადღებო და საოცარს ამბავს მოვიყვანთ.

**

დამსწრე და თავის საკუთარის თვალით მნახველი მოგვითხრობს ერთს ამბავს, რომელიც მოუხდენია ჰიპნოტობის შემწეობით პარიჟის გამოჩენილს პროფესორს, გვარად ლიუისს. ეს ამბავი ყოფილა პარიჟის ერთს სამკურნალოში, სადაც ლიუისის გარდა ამავე საგანს იკვლევს გამოჩენილი ექიმი შარკო.

ლიუისს შემოჰყავს ხალხით სავსე მოზდილ ოთახში გამხდარ-გამხდარი, შუა-ხანს მიტანებული ქალი. ქალი არც დიდის ჯანის პატრონი სჩანს, არც ავადმყოფი. ქალს ცოტა მორცხვობა ეტყობა, როცა შემოდის.

—როგორა ბრძანდებით?—ჰკითხავს პროფესორი.

—მადლობას მოგახსენებთ, კარგად გახლავართ,—უპასუხებს ქალი დინჯად და ცოტა მოწიწებითაც.

ამის შემდეგ პროფესორი ჰსვამს თურმე ქალსა სავარძელში, ოდნავ თვალებს უხუჭავს,—და აი სულ ნახევარ წამს არ გაუვლია, რომ ქალი ძილს მიეცა, ისეთს ღრმა ძილს, რომ გეგონებათ, «სალათას ძილი» დაემართაო.

პროფესორმა თვალები ისევ აუხილა ხელით,—და ქალი სრულებით სხვა გვარად შეიცვალა—გაშეშდა, უძრავი შეიქმნა, გეგონებოდათ ნამდვილი, გაციებული მკვდარიაო, აღარაფერსა ჰგრძნობს. თუნდ ხელის გულში ნემსი ღრმად უჩხვლიტეთ,—ხელს არ გაანძრევს, ხელი მაღლა აუწიეთ, ისე გაშეშებული დაჰრჩება, უჩხვლიტეთ რამე, უჩქმიტეთ,—ასოს არ შესძრავს; გადეთ გარდი-გარდმო ხიდივით, ასე რომ თავის კეფა, ვთქვათ, ერთს სკამზე ედვას და ფეხის ქუსლები მეორეზე, ფიცარივით გაშეშებული იდება; თუნდ ზედ შედექით, დაჯექით, ოდნავაც არ ჩაიზნიქება.

პროფესორი ოდნავ უბერავს პირ-სახეში,—და ქალი სრულიად იცვლება, თითქოს გაცოცხლდა, მკვდრეთით აღსდგაო. ქალი ადგა, დაიწყო სიარული, პასუხს აძლევს, რასაც-კი ჰკითხავენ, თუმცა ეხლაც-კი არ ესმის, სად არის. ერთის სიტყვით, ისე იქცევა, როგორც «სამთვარეოთი» სნეული ადამიანი, რომელსაც სძინავს და მთვარის შუქზე-კი დადის და ხშირად ლაპარაკობს კიდეცა ხოლმე.

ერთი საოცარი კიდევ ის არის, რომ ამ მდგომარეობაში რასაც-კი უბრძანებს პროფესორი, ქალი ფიცხლავ, სრულის მორჩილებით ასრულებს. რასაც გინდათ, დააჯერებთ, რა საშინელი და საზარელი ბრალიც უნდა დასდოთ, უარს არ იტყვის,—მართალია, მე ჩავიდინე ესა-და-ეს დანაშაულობაო. აი, მაგალითად, ამავე ქალისათვის პროფესორს ლიუისს რა დანაშაულობა დაუბრალებია.

**

—აბა გვიამბეთ, მოხუცი როგორ მოჰკალით,—ეუბნება პროფესორი.

—უბრალოდ ცილს რაზე მწამებთ, მე არავინ მომიკლავს.

—გვიამბეთ-მეთქი, გიბძანებთ.

—მეშინიან, ციხეში ჩამსმენ.

—ნუ გეშინიანთ, მე გიშველით და დაგიხსნით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა, რადგანაც ორს ლექციაში შეუძლებელი იყო წაეკითხა მთელი თავისი შრომა, მაგრამ რაც გვიამბო, ისიც დიდად საყურადღებო და საგულისხმოა საზოგადოებისათვის...

ამ ლექციებსაც შეუძლიან ბევრს რასმეზე დააფიქროს საზოგადოება და ბევრი რამ რთული საკითხავი აღძრას...

ა. ნა—ლი

## ახალი ამბავი

*** ამ თთვის 1-დგან გაიხსნა ავლაბრის წმინდა მარინეს სამხედრო სკოლაში ქალების განყოფილება, რომელშიაც ასწავლის ქალი პავლოვისა. თუმცა ჯერ ცოტანი შეგროვდნენ მოსწავლენი, მაგრამ იმედია მალე ისე გაივსება ქალების განყოფილება, როგორადაც ვაჟებისაა. ვაჟების განყოფილებაში სამოცამდე ყმაწვილი სწავლობს.

*** ამ დიდ-მარხვაში არც ერთს ეკკლესიაში არ დაიარება იმდენი ქართველობა, რამდენიც ავლაბარში, წმინდა მარინეს ეკკლესიაში. ამის მიზეზი არის ქართულად წირვა, წირვაზედ სკოლის ყმაწვილების მშვენიერი გალობა და ყოველ კვირა ქართულადვე გრძნობით სავსე ქადაგება.

*** ქაშუეთში ყოველ კვირა საღამოს ქადაგებას ამბობს უფროსი მღვდელი ამ ეკკლესიისა და ხალხიც ბლომად დაიარება. ეგზარხოსს წინადადება მიუცია ამავ ეკკლესიის კო[illegible] გუმბათი თუნუქით დახუროს და კედლები თეთრად შეჰღებოს. რადგან ეს საუკეთესო ეკკლესიაა ქართველთა, ამიტომ კარგი იქნება ზეთ-ნარევის წამლით შეიღებოს. უეჭველია, ის ოჯახები, რომელთა მიცვალებულნიც ამ ეკკლესიის გალავანში ასაფლავიან, დახმარებას გაუწევენ კრებულსა და შეაძლებინებენ ამ წამლით შეღებასა და ჯეროვანად გალამაზებას ეკკლესიისას.

*** სიმენსისა და გალსკეს სავაჭრო ფირმას, რომელსაც დიდი სამსახური მიუძღვის ელექტრო-ტეხნიკის საქმეში, სხვათა შორის დიდი მადნები აქვს ამიერ-კავკასიაში. ეხლა ამ სავაჭრო სახლს აღმოუჩენია, რომ ელექტრონის შემწეობით შეიძლება ოქროს მადნების წარმოება და უთხოვნია ვაჭრობისა და მანუფაქტურის დეპარტამენტისათვის, რომ მიეცეს ნება-რთვა ამ ახალის საშუალებით ისარგებლოს ათის წლის განმავლობაში.

*** ქუთაისი: საქმის წარმოება თავად-აზნაურობის წინამძღოლის თ. ალ. ნიჟარაძისა და მომრიგებელ-მოსამართლის ბ-ნ ლინევიჩის შეტაკების გამო უკვე დასრულებულია. როგორც ამბობენ, გამოძიება ბრალად სდებს ლინევიჩს უფლების გადამეტებას. საქმე უნდა წარადგინონ, ვისთანაც ჯერ არს.

*** ქართლი: აგერ სრული ერთი კვირაა, რაც ცუდი დარი სდგას მთელს ქართლში; ჯერ სწვიმდა, ზედ მოჰყვა ერთობ ცივი ქარი დასავლეთისა და ისე გააცვა ჰაერი, რომ ახლო-მახლო მთებზე თოვლი ჩამოჰყარა. ქარმა დღევანდლამდე (7 აპრილი) იქროლა და ერთიანად გამოაშრო ნიადაგი. თოვლმა და სიცივეებმა სრულიად წაახდინა გამოწეული ხილი. როგორც ამბობენ, ზოგან ვაზიც დააზიანაო. ერთის სიტყვით, ამ ერთმა კვირის ავდრიანობამ [illegible]ლა ქართლელები.

*** გორი: ამ აპრილის თორმეტსა ქ. გორში მოელიან მთავარ-მმართებელს თ. დონდუკოვ-კორსაკოვს, რომელმაც უნდა დაჰხედოს, აღლუმი გაუწიოს ქართველთა «დრუჟინასა» და ამის გამო დიდი ფაცა-ფუცი და მზადებაა ჯარებისა.

*** იქიდამვე: თუმცა ადრევ დაიჭირეს რამდენიმე ქურდ-ბაცაცა, მაგრამ მაინც ქურდობას რას მოსპობს ორი-სამის კაცის დაჭერა. წარსულს კვირაში ერთს ღამეს ბარე ექვსი დუქანი გასტეხეს, ექვსივე საცოდავის კაცისა. ობოლო, ვის ავნებო და ვინც გამზარდაო, ამაზეა ნათქვამი. რალა ვნება და აკლება უნდა საწყალს ხალხსა, მაგრამ წადი, ზნე და სინიდისი მოჰკითხე ქურდ-ბაცაცასა.

## უცხოეთი

გერმანია. «Новости» ასე განგვიმარტავს იმ უთანხმოებასა და აზრების განსხვავებას, რომელიც ბისმარკსა და იმპერატორს ფრიდრიხს შუა სუფევს: თავადს ბისმარკს უნდა დაჭმაღოს, მაგრამ ვერ-კი ჰმალავს, რომ სძულს საპარლამენტო წესები. იმპერატორი ფრიდრიხი დიდად აფასებს კონსტიტუციას. თავადი ბისმარკი ჰზრუნავს მომეტებულ ნაწილად დიდთა მემამულეთა და დიდის მრეწველობისათვის, იმპერატორი-კი ყველას ინტერესების დაცვასა ჰფიქრობს. თავადი ბისმარკი უმატებდა ხარჯსა და გარდასახადს ღარიბსა და საწყალს კაცსა, იმპერატორი ფრიდრიხ-კი მოწადინებულია, რომ შეძლებისამებრ შეღავათი მისცეს ერსა. თავადი ბისმარკი მომხრეა ესრედ წოდებულის კულტურულის ბრძოლისა, იმპერატორი ფრიდრიხ-კი ჰღაღადებს, რომ ყველა სარწმუნოების კაცს თავისუფლად შეუძლიან იცხოვროსო. თავადს ბისმარკს სძულს მფარველობა მრეწველობისა და წარმოების ესიზმრება და სახელმწიფო სოციალიზმს ებღაუჭება, იმპერატორი ფრიდრიხ-კი პირდაპირ ამბობს: ნურავის ნუ ექმნება დიდი იმედი იმისი, რომ ვითომ სახელმწიფოს შეეძლოს თავისით მოსპოს უსწორ-მასწორობა მდიდარსა და ღარიბს შორისო.

გერმოდ ჩვენთვისაო, ამბობს გაზეთი ბოლოს, ბევრად კარგია ფრიდრიხის მეფობა, ვიდრე ბისმარკის ბატონობაო.

— ბისმარკის სამსახურიდამ გადადგომაზე რომ ჩამოვარდა ლაპარაკი, ბევრგან თანაგრძნობის ადრესები მორთმევა განიზრახეს ბისმარკის სახელობაზე. ეს ამბავი არ მოეწონა ზოგიერთს გაზეთს, რადგან იმპერატორის სურვილის წინააღმდეგობად მიიჩნიეს. «Preusse Zeitung»-ი ამბობს ამის გამო: ჩვენ გვინდა გერმანიაში მეფობდეს სახლი გოგენცოლერნებისა და არა რომელიმე სხვა გვარიო. ღამის იქამდე მივიყვანოთ ჩვენის ქცევით საქმე, რომ ერი მოთმინებას დაჰკარგავს და პირდაპირ იტყვის ამასაო.

— მემკვიდრე პრინცი 4 აპრილიდამ ეს ერთი კვირაა შარლოტენბურგის სასახლეში აღარ ყოფილაო.

— იმპერატორი ფრიდრიხი არც წინად და არც ეხლა თანაგრძნობით არ ეკიდებოდა პრინცს ალექსანდრე ბატენბერგსაო.

— „St.-Peter. Zeit.“-ს სწერენ დარმშტადტიდამ, რომ შარლოტენბურგიდამ შეატყობინეს პრინცს ალექსანდრეს, ჯერ-ჯერობით ნუ მოხვალ ბერლინშიო.

— აი რა მოუხსენებია ბისმარკს ფრიდრიხისათვის იმის ქალის გათხოვების საწინააღმდეგოდ: ჯერ ერთი, რომ ეს ქორწილი შესცვლის გერმანიისა და რუსეთის ურთიერთობასა; პრინცმა ალექსანდრემ დიდი საყვედური დაიმსახურა რუსეთის მხრივ და ამიტომ რუსეთის სამეფო სახლს არ ესიამოვნება პრინც ალექსანდრეს დამოყვრება გერმანიის იმპერატორის ოჯახთან. მეორეცა, რუსეთში ბატენბერგის სახელი ჯარების სიიდამ ოფიციალურად ამოჰშალესო. თქვენი ქალი-კი რომ მიათხოვოთ, კორპუსის კომანდირობა უნდა მისცეთ ბატენბერგს და ორდენიც უნდა უბოძოთო. მე ვგონებ, რომ ყოველს ამას დიდ შეურაცხყოფად მიიღებენ პეტერბურგში და ამიტომ მე წინააღმდეგი ვარ მაგ ქორწინებისაო.

— ზოგიერთი გაზეთები გერმანიისაც და საზღვარ-გარეთისაც ძალიან თანაგრძნობით ლაპარაკობდნენ წინად პრინც ბატენბერგსა და იმის საცოლოზე და ამასთანავე ამბობდნენ, რომ ბისმარკი თავ-მოყვარეობისა გამო გულ-ქვაობით ხელს უშლის მოსიყვარულეთა შეერთებასა და ბედნიერებასაო. ახლა ამაზე „Kölnische Zeitung“-ი ამბობს: «მართალია, სასიამოვნო არ არის, შეეხოთ იმპერატორის სახლეულობის გარემო საქმეებსა, მაგრამ ჩვენ მაინც იძულებულნი ვართ გამოვაცხადოთ, რომ ორივ საქორწილოთა მხრივ თანაბარი სიყვარული არ არსებობსო. პრინცი ბატენბერგი ამ ქორწინებას ძალიან გულგრილად ეკიდება და ისე-კი არ უცქერის, როგორც სიყვარულით გამოწვეულს, არამედ როგორც ფრიად სარფა საქმესა. ამითი აიხსნება, რომ თვით იმპერატორი ფრიდრიხიც დიდად არ არის მოწადინებული, უთუოდ მიათხოვოს თავისი ქალი ბატენბერგსაო». ინგლისშიაც ასე თურმე ჰფიქრობენ გაზეთებიცა და საზოგადოებაცა, ისე რომ ამ გარემოებამ, ცოტა არ იყოს, ჩააფიქრა ქალის დედა, იმპერატრიცა ვიქტორიაო. «Standard»-იც-კი, სალისბერის გაზეთი, უფრო ბისმარკისაკენ არის ამ საქმეში. ეს გაზეთი ამბობს: ბისმარკს არას დროს არ ავიწყდება, რომ ერთი ბეწვა შეცდომის გამო სტამბოლისა და ბოლგარიის საქმეების შესახებ გერმანია იძულებული იქნება ჰღვაროს სისხლი თავის კაცებისა და შვილებისა ვისლისა და რეინის მდინარეთა კიდეებზეო. კანცლერი და განსვენებული იმპერატორი მუდამ იმ აზრისანი იყვნენ, რომ თუ რუსეთი და გერმანია წაიკიდნენ, ამას უთუოდ რუსეთისა და საფრანგეთის კავშირიც მოჰყვებაო და მაშინ ორი მტერი ეყოლება გერმანიასა; ხოლო თუ მარტო გერმანია და საფრანგეთი წაიკიდნენ, შეიძლება რუსეთმა მონაწილეობა

---

— მაშ აღარ დაგიმალავთ. შევედით ფრთხილად ოთახში. მოხუცი სავარძელში იჯდა და ჩიბუხსა სწევდა. დანა დავეცით, მოვკალით, მერე გავქურდეთ და წამოვედით. მართლა, შენც ხომ ჩვენთან იყავი.

— სტყუით, მე არა ვყოფილვარ! — ეუბნება პროფესორი განრისხებით.

— სრულიადაც არა ვტყუი! განა არ გახსოვს, მერე რომ ვქეიფობდით კიდეც, ფული ჩვენ მივეცით და შენ-კი არა.

ნუ დაივიწყებთ, რომ ქალს ისევ სძინავს, ძილში ლაპარაკობს ყველა ამას და ისე ჰგონია, რომ პროფესორს-კი არა, ჩემს საყვარელს ველაპარაკებიო.

— იცი, სადა ხარ?—ჰკითხავენ ქალსა.

— რა საკითხავია? რასაკვირველია, შინა ვართ!.. მაკოცე...

— როგორ არა გრცხვენიანთ, რომ მაგას ამბობთ? აბა შეჰხედეთ, რამდენი ხალხი გვიყურებს.

ქალი თითქოს იღვიძებს, თვალს ახელს, ხალხს უყურებს, და უპასუხებს პროფესორს:

— რა უშავს, განა ჩვენ თავისუფალნი არა ვართ?

**

ქალს ცოტა ხანს ასვენებს პროფესორი, მერე ისევ აძინებს და ძილში ეუბნება:

— ხომ იცით, რომ თქვენი კარგი ნაცნობი, ესა-და-ეს ექიმი, ეხლა აქ არის?

— ვიცი.

— ჰხედავთ?

— ვხედავ.

— მე გიბრძანებ, აღარ დაინახოთ.

მართლაც ქალი ველარა ჰხედავს. პროფესორი უბრძანებს:

— გადით ამ ოთახიდამაო.

ქალი მიდის, მაგრამ კარებში უჩინარი ექიმი ჰხვდება და გზაში უდგება. ქალი ერთბაშად შესდგება და ვერ მიმხვდარა, რა ამბავია, რა მიჰჯერსო.

— ექიმი თავზედ მაღალ შლიაპას იხურავს.

— ჰხედავთ შლიაპას? ვისა ჰხურავს?—ჰკითხავს პროფესორი.

— რას მატყუებთ, — უპასუხებს ქალი, — აქ ვინ არის, ვის უნდა ეხუროს: — ან ძაფით უნდა იყოს ჩამოკიდული, ან აქ რაღაც თვალთმაქცობაა.

იმავ ქალს უხილავი ექიმი მაგრა ხელს უჭერს და არ უშვებს.

— რა დაგემართათ, ხელი რატომ ეგრე გაგშეშებიათ? — ეკითხებიან.

— არ ვიცი, უცბად რაღაცა მომივიდა, ხელი დამეხვლანჭაო.

ყველა ამას, როგორც ჰხედავთ, პროფესორი ლიუისი შთაგონებით, ბრძანებით აკეთებინებს ქალსა. უბრძანებს — ესა-და-ეს ჰქმენიო, და ქალიც დაუყოვნებლივ, უნებლიედ ასრულებს იმის ბრძანებას.

მაგრამ უფრო საოცარი და გაუგებარი ის არის, რომ ესევე შეიძლება ჩაადენინოს ადამიანს, ჰიპნოტურს ძილში მყოფს, არა მარტო ბრძანებით, სიტყვიერ შთაგონებით, — ზოგიერთ წამალსაც ასეთივე გავლენა და ზედ-მოქმედება ჰქონია.

**

პროფესორი ლიუისი იმავე ქალს აძინებს და ჩუმად კისერთან საყელოში მინის ლულას უდებს. ლულას თავი და ბოლო მაგრადა აქვს გადალესილი და შიგ ხაშიშია ჩადებული.

გეცოდინებათ, რომ ხაშიში ერთ ნაირი წამალია, რომელიც ძლიერ ათრობს ადამიანს და თანაც ამხიარულებს, სიამოვნებასა ჰგვრის. ჩინეთში, ინდოეთში და საზოგადოდ აღმოსავლეთ ქვეყნებში ძლიერ ხმარობენ ამ ხაშიშსა.

და აი პროფესორმა საყელოში გაუკეთა თუ არა ლულა ხაშიშით, ქალი მაშინვე გაცოცხლდა, გამხიარულდა, დაიწყო ხტუნვა, თამაში, სიცილი, როგორც ძალზე დალეულმა და გამხიარებულმა კაცმა იცის.

— იმღერეთ რამეო, — ჰსთხოვა პროფესორმა ქალსა.

ქალმა დაიწყო სიმღერა. პროფესორმა უცბად ამოაცალა ლულა, ქალი ნახევარ ხმაზე შესდგა, შესწყვიტა სიმღერა, მოღუნდა, მოეშო, მოწყვეტილისავით დაეცა სკამზე და სრულიად გაშეშდა.

პროფესორმა ლულა ისევ საყელოში ჩაუდო. ქალმა მაშინვე ისევ დაიწყო სიმღერა და სწორედ იმავე ხმაზედ, რაზედაც შესწყვიტა.

ამ სახით, თითქოს სათამაშო რამ ტიკინიაო, ხან აათამაშებდა, აამღერებდა, ხან ისევ გააჩუმებდა და გააშეშებდა. საკმაო იყო მხოლოდ ლულა ან გაეკეთებინა, ან აერთო.

ამის შემდეგ, როდესაც ქალი დააშვიდა, პროფესორმა აიღო სათვალეები, რომელსაც შავი მინის თვლები ჰქონდა გაკეთებული, თვლებს შიგნიდამ სქლად ბამბა ჩაუდო, გაუკეთა ქალს თვალებზე და ჰკითხა:

— ჰხედავ რასმე?

— იჰ, რა კარგადა სჩანს, რა საუცხოოდ! — იძახოდა ქალი სიხარულით.

— წაიკითხე! — უბრძანა პროფესორმა და მისცა ხელში გაშლილი გაზეთი.

ქალმა ჩაავლო თვალი და ისე დაიწყო კითხვა, თითქოს თვალ-ხილულია და მღვიძარეო.

— ეს რა ამბავია?—იკითხა გაოცებით ერთმა აქ დამსწრე ექიმმა, რომელიც ყურადღებით ადევნებდა თვალს ყველაფერს, რაც ზემოდ გიამბეთ.

— მეც არ მესმის კარგადაო, — უპასუხა თურმე პროფესორმა ლიუისმა, — მე მხოლოდ გუშინ აღმოვაჩინე ეს უცნაური ამბავი, და, სწორე გითხრათ, ვერა გამიგია-რა, ვერას მიმხვდარვარ.

**

ჰიპნოტობის გავლენით ძილში ჩავარდნილი ადამიანი რომ ასე მოქმედობდეს, სხვის შთაგონებას, ბრძანებას ასე დაუყოვნებლივ ასრულებდეს, — კიდევ არაფერი. საქმე ის არის, რომ რაიმე შთაგონება, ბრძანება, შეგიძლიანთ, გაღვიძების შემდეგაც აასრულებინოთ. ეს კიდევ რა! შეგიძლიანთ ძილის დროს შთააგონოთ, უბრძანოთ, რომ აი გაიღვიძებთ და ამა-და-ამ დღეს, ამა-და-ამ საათს, — ვადა შეგიძლიანთ დაუნიშნოთ ერთის კვირის, თთვის შემდეგ, — წახვალთ აქა-და-აქ და ამას-და-ამას ჩაიდენთო. ჰიპნოტურ ძილში შთაგონებულიც სწორედ, წმინდად აასრულებს ამ ბრძანებას.

რაკი ერთი ადამიანი ასეთი ყურმოჭრილი, მორჩილი ყმა ხდება მეორისა, რასაკვირველი, ამ ბრძანებელის ნება-ყოფლობაზეა დამოკიდებული და შეუძლიან ავი საქმეც ჩაადენინოს და კარგიცა.

აი, მაგალითად, ერთს ქალს ჰიპნოტურ ძილის დრო შთააგონეს ამა-და-ამ დღეს, ერთის კვირის შემდეგ, უნდა წახვიდეთ ამა-და-ამ კაცის სახლში. იქ ერთს ოთახში შკაფი დგას, შკაფში ესა-და-ეს ძვირფასი ნივთია. ეს ნივთი უნდა მოიპაროთ და მე მომიტანოთ, ისე-კი, რომ არავინ გაიგოს და თუ შეგიტყეს, არას გზით არ გაგტეხონ და არ გაჰბედოთ თქმა, რომ ნივთი მე მომიტანე, ბრალი მარტო შენს თავზე უნდა აიღოთ. ქა

...მიიღოს ამ ომში და აღმოსავლე-
...ის მხრივ მაინც თავისუფლად ვიქმ-
...ებითო. ამისათვის საჭიროა, რუსეთს
...რგად ვექცეოდეთ და არაფერში არ გა-
...ჯავრდეთო. „Pall-Mall Gazette" უფ-
...ო პირდაპირ ლაპარაკობს ამ საგანზე:
„ჩვენ არ შეგვიძლიან არა ვსთქვათ,
...რომ რაკი ბისმარკი ამტკიცებს, ამა-და-
...მ გარემოებას ასეთი-და-ასეთი შედეგი
...მოჰყვება პოლიტიკაშიო, დიდი შესაწყნა-
...რებელი საბუთებიც არა ჰქონდეს ხელ-
...ში ამ გაცსაო. თუ მართლა განზრახუ-
...ლი ქორწინება საშიში ევროპის მშვი-
...დობიანობისათვის, შესაძლებელია გა-
...ნა, რომ ეგ ქორწინება მოხდეს-და? რაკი
...ამას ვკითხავთ, გათავდა, პასუხადაც
...ის უნდა ვსთქვათ, რომ შეუძლებელია
...არ ჩაიშალოს ეგ ქორწილი. თუ ომი
...ასტყდება, სიკვდილი ჩაშლის ათასისა
და ათი ათასის უმანკოს კაცის და
ქალის ქორწინების საქმესა, რომელთაც
ისევე ვუყურებთ ერთმანეთი, როგორც
ალექსანდრესა და ვიქტორიას. ადრე თუ
გვიან ბოლგარიის საქმე გადასწყდება და
...დგე მაშინ იქორწინონ პრინცმა და პრინ-
ცესამ, უკეთუ იმ დრომდე გული არ
შეეცვლებათ ერთმანეთზე".

## წვრილი ამბები

როცა ჩრდილოეთ დეპარტამენტში, საფრანგეთში, ბულანჟეს არჩევნები იყო დანიშნული, ამომრჩეველთ ამოსარჩევის სურათებს ურიგებდნენ თურმე. აი გაზ. „Republique Française" როგორ აწერს ამ სურათს: გენერალი ბულანჟე, რომელსაც განგებ ნაპოლეონ მე-III სახის მგზავსად ჰხატავენ, ამ სურათში შავს გაჭენებულს ცხენზედა ჰზის. დახატულს მარჯვენა ხელი გაშვერილი აქვს ერთის დრუბლისაკენ, რომელზედაცა სწერია «მეცი და სტრასბურგი». სურათს ქვეშ შემდეგი წარწერა აქვს: «ამომრჩევლებო, ვინც ბულანჟეს ამოირჩევს, ის საფრანგეთის აღდგინების სურვილს გამოაცხადებს; ვინც ბულანჟეს მიემხრობა, ის ამ მამხრობით დაამტკიცებს, რომ მამულიშვილია და მამულს თაყვანსა სცემს. ჟან ბარტის შვილები ხართ და ამიტომ გამოჩენილის მამულიშვილის მიერ ნაანდერძევს გრძნობათ არ უღალატებთ, არ გადაუდგებით. მაშ თუ ასეა, ყველანი გენერალს ბულანჟეს ამოირჩევთ».

— გერმანიის იმპერატორ ვილჰელმის გარდაცვალებისა და მემკვიდრე პრინცის ფრიდრიხის ტახტზე ასვლის გამო ბერლინში სხვა-და-სხვა ქვეყნებიდგან და სახელმწიფოებიდგან დეპუტაციები იყო გაგზავნილი. სხვათა შორის წავიდა დეპუტაცია მოსკოვიდამაც, ბ-ნის კრიუგერის მეთაურობითა და უფროსობით. ეხლა ბ-ნს კრიუგერს დაუბეჭდია თავის მოგზაურობის ამბავი გაზ. «Herald»-ში, რომელიც პეტერბურგში იბეჭდება, და ამბობს, რომ ჩვენ ბისმარკმა გვინახულაო. ათიოდე წუთი ლოდინი მოგვინდა, რადგან რკინის კანცლერს დიდებული სტუმარი ჰყავანდა. როცა კარები გაიღო, გამოვარდა ორი «საიმპერიო» მაღლი და ამათ უკან გამოვიდა რუმინიის მეფე, რომელიც ბისმარკმა კიბის თავამდე მიაცილა. შემდეგ მიგვიწვია ჩვენცა, სხვა-და-სხვა რუსეთის შესახებს ამბებსა გვკითხავდა და განსაკუთრებით მოსკოვის შესახებ. თითონაც მოიგონა ის დრო, როცა რუსეთში ყოფილა. კანცლერმა გვითხრა, რომ რუსულს ენაზედ თავისუფლად ვკითხულობ და მესმის კიდეც ეს ენა, ხოლო ლაპარაკი-კი ვერ მეხერხებაო. ბოლოს გვითხრა, რომ რუსები მალიან მიყვარსო, და გამოგვისტუმრა.

— ათინიდგან ამბავი მოსულა რუსეთში, რომ აქ ამ დღეებში გამოიცემა შილერის დრამა «ფიესკო», ახალ-ბერძნულ ენაზედ გადათარგმნილიო. ეს დრამა გადაუთარგმნია მენინჯენის მემკვიდრე პრინცს ბერნგარდს და ამბობენ, რომ მალიან სისწორით და მშვენიერის ენით არის ნათარგმნიო.

— გამოჩენილს გერმანელს ქიმიკოსს, პროფესორს ავგუსტ გოფმანს, 27 მარტს 70 წელიწადი შესრულებია. იმპერატორ ფრიდრიხს თავის საკუთარ ხელით მიწერილს წერილში მიულოცნია მეცნიერისათვის და აზნაურობა უწყალობებია.

— პარიჟში ამ დღეებში შემდეგი შემაძრწუნებელი ამბავი მომხდარა. ვიღაც შოვენს, ქვრივს დედაკაცს, ყელი გამოუღადრავს თავის საკუთარ შვილისათვის, ცხრა წლის ბავშისათვის, და შემდეგ თითონაც მოუკლავს თავი, დანა რამდენჯერმე დაუცია გულში. ამ მკვლელობათა მიზეზი ჯერ ვერ შეუტყვიათ.

— ვენაში გარდაცვლილა ერთი მოხუცებული მანდილოსანი, რომელსაც ერცჰერცოგ ალბრეხტისათვის 20,000 მანათი უანდერძებია. ამ მანდილოსანს თავისი ასეთი საქციელი იმით აუხსნია, რომ ერცჰერცოგმა კუსტოცცს ახლო გამარჯვებით მალიან მასიამოვნა და იმიტომ ვუანდერძე ჩემი ქონებაო.

— ფრეიბურგში (შვეიცარიაშია) ახირებული საზოგადოება არსებობს თურმე. ამ საზოგადოების წევრებად მხოლოდ იმ კაცებს ირჩევენ, რომელნიც ცოლების ერთგულნი და გამგონენი არიან.

## გასართობი

უცნაური დიპლომატობა. გაზ. «Figaro»-ს ერთს თანამშრომელთაგანს, გონება-მახვილს ალბერ მილლოს, შეუთხზავს შემდეგი სასაცილო სცენა, ვითომ-და იმის დასახატავად, თუ როგორს დიპლომატობას ეწევა საფრანგეთის გარეშე საქმეთა ახალი მინისტრი გობლე, რომელიც, როგორც ვუწყით, დიპლომატად არასოდეს არა ყოფილა.

სცენა წარმოადგენს გარეშე საქმეთა მინისტრის კაბინეთს. შედის მსახური.

მ ს ა ხ უ რ ი. ბ-ნო მინისტრო...

გ ო ბ ლ ე. ჰმ... რაო? რა მოხდა? ნუ მაცდენ, საქმეებში ვარ გართული.

მ ს ა ხ. ინგლისის ელჩი გახლავთ.

გ ო ბ ლ ე. უთხარ, რომ შინ არ არის-თქო, სხვა დროს შემოიაროს.

მ ს ა ხ. კარგი, ბ-ნო მინისტრო, მაგრამ...

გ ო ბ ლ ე. თავი დამანებეთ, კმარა!

მსახური გადის მეტად შემკრთალი და შერცხვენილი.

გ ო ბ ლ ე (მარტო). როგორც მაგათ ეტყობათ, საქმე არა აქვთ და არც დიპლომატია აძლევს ხელში საქმეს.

მ ს ა ხ. (შემოდის). ბ-ნო მინისტრო...

გ ო ბ ლ ე. უფალო შემიწყალე...

მ ს ა ხ. პორტუგალიის ელჩი გახლავთ...

გ ო ბ ლ ე. ეგ-ღა მაკლდა! ის ხომ არა ჰგონია ახლა, რომ თავს შევიწუხებ ვიღაც ნახევარ-კუნძულის ელჩისათვის...

მ ს ა ხ. რა მოვახსენო მის აღმატებულებას?

გ ო ბ ლ ე. რაც შეიძლოთ თავაზიანად მოახსენეთ, რომ ვერ მოგართვეს-თქო!

მ ს ა ხ. (ამაყად). ჩვენ წესად არა გვაქვს აგრე უკადრისად მოქცევა, ხოლო მაინც ვეცდები.

გ ო ბ ლ ე. მე სადიპლომატოდა ვარ გაჩენილი და დაბადებული. ვგრძნობ, რომ ჩემს დონეზე ვარ, ჩემს ადგილს, იქ, სადაც შემშვენის.

მ ს ა ხ. ბ-ნი მორენჰეიმი, რუსეთის ელჩი...

გ ო ბ ლ ე. სთხოვეთ, ეხლავე სთხოვეთ. რუსეთი ჩვენი მეგობარი სახელმწიფოა და მაჯა უნდა გავუსინჯო, შევიტყო, რას აპირებს, რა აქვთ განზრახვად. (შემოდის ბარონი მორენჰეიმი.) მობრძანდით, მობრძანდით, თქვენდა სამსახურად ყოველთვის მზად გახლავართ.

მ ო რ ე ნ ჰ ე ი მ ი. დიდად პატივსა მცემთ.

გ ო ბ ლ ე. ოო, მე-კი არა გცემთ პირადად პატივს, არა, პოლიტიკა გვდებს ვალად, ასე მოვიქცეთ. საფრანგეთს უნდა ახლა, რომ მოკავშირეები ჰყავანდეს. თქვენ გერმანია გეჯავრებათ, განა?

მ ო რ ე ნ ჰ ე ი მ ი. ნება მიბოძეთ... აგრე უეცრივ...

გ ო ბ ლ ე. მაინც რა აზრისანი ხართ ახალ იმპერატორის შესახებ? ვითომ დიდხანს გასტანს?

მ ო რ ე ნ ჰ ე ი მ ი. მე გიახელით, რათა მომელოცნა თქვენი ამორჩევა და სრულიადაც არა მსურდა ისეთს საგნებზედ ჩამომეგდო ბაასი, რომლებზედაც დიდის სიფრთხილით არის საჭირო ლაპარაკი.

გ ო ბ ლ ე. მართალსა ბრძანებთ, მეტი მომივიდა. მაინც-და-მაინც თქვენი იმედი გვექნება...

მ ო რ ე ნ ჰ ე ი მ ი. რითი შემიძლიან სამსახური გაგიწიოთ.

გ ო ბ ლ ე. მხოლოდ ერთი ეს შემატყობინეთ: ვინიცობაა რამე რომ მოხდეს, რუსეთის იმპერატორი თავის ჯარებს პომერანიაში ჩააყენებს?

მ ო რ ე ნ ჰ ე ი მ ი. თქვენს უკან მშვენიერი ხალიჩაა. ნებას მომცემთ, ახლოდგან კარგად გავსინჯო?

გ ო ბ ლ ე. თუ აგრე გსურთ, ინებეთ. მე ამისთანაებში, სწორე მოგახსენოთ, არა მესმის-რა, მხოლოდ დიპლომატიას ვადევნებ თვალ-ყურს.

მ ო რ ე ნ ჰ ე ი მ ი (გაიღიმებს). გეტყობათ...

მ ს ა ხ უ რ ი. ბ-ნნი ავსტრიისა და გერმანიის ელჩები ბრძანდებიან!

გ ო ბ ლ ე. მოახსენე, რომ შინ არა ბრძანდება-თქო.

მ ო რ ე ნ ჰ ე ი მ ი. პირ-იქით, ინახულეთ; რაკი მე შემოვედი, ისინი რომ გაისტუმროთ, არ ევარგება.

გ ო ბ ლ ე. თქვენ რომ შემოხვედით, თქვენ სულ სხვა ბრძანდებით, თქვენ ჩვენთვის საჭირონი ხართ. სთხოვეთ, შემობრძანდნენ.

(შემოდიან ელჩები)

პ ი რ ვ ე ლ ი ე ლ ჩ ი. ბ-ნო მინისტრო... აა, ჩვენი მეგობარი რუსიც აქა ყოფილა! დიდად ბედნიერი ვარ, რომ შეგვხდით.

მ ე ო რ ე ე ლ ჩ ი. როგორ ბრძანდებით?

მ ო რ ე ნ ჰ ე ი მ ი. გმადლობთ, მე უფრო მესიამოვნა თქვენი ნახვა.

გ ო ბ ლ ე (ყურში უჩურჩულებს). შეხეთ, როგორ ცბიერობს. თქვენ ხომ არც ერთი სიტყვა არა გჯერათ, განა?

მ ო რ ე ნ ჰ ე ი მ ი. პირ-იქით, გარწმუნებთ. ჩვენ დიპლომატები გახლავართ და ყოველთვის ერთმანეთში მეგობრობა გვაქვს.

გ ო ბ ლ ე. ხომ არაფერს ინებებთ, ბატონებო? აიქ, ჩვენს პირდაპირ, ყავახანაში, მშვენიერს ლუდსა ჰყიდიან.

ე ლ ჩ ე ბ ი. არა, გმადლობთ. ნება მოგვეცით, გამოგეთხოვნეთ.

გ ო ბ ლ ე (მორენჰეიმს). დამიპატიჟნიხართ მშვენიერს სადილზედ.

მ ო რ ე ნ ჰ ე ი მ ი. მე სტუმრად არსადა ვრჩები, თუ გვერდით ამხანაგები არა მყავს.

გ ო ბ ლ ე. მაშ ეგ სხვა საქმეა.

ე ლ ჩ ე ბ ი. ნახვამდის, ბ-ნო მინისტრო.

გ ო ბ ლ ე. ნახვამდის, ნახვამდის. მსახურო, გააცილეთ (ელჩები გადიან). ძლივს არ დავრჩი მარტო, ეხლა-კი შემიძლიან ჩემს საქმეებს დავუბრუნდე. უჰ!

## დეპეშა

7 აპრილი

პეტერბურგი. დღეს ვარშავსკის დასაფლავებაზედ უეცრად გარდაი-

---

ლმა მართლა აასრულა ეს ბრძანება და სწორედ ისე, როგორც შთაგონებული ჰქონდა.

ამ შთაგონების დროს მოწმად დასწრნენ ორი გამოცდილი და ნამსახური მსაჯული. როდესაც მერე ქალს უპოვეს მოპარული ნივთი, ქურდობა თითონ დაიბრალა. ბევრს ეცადნენ, ბევრს ეწვალნენ, და ვერას გზით ვერ გასტეხეს, ვერ ათქმევინეს, ვინ იყო იმის შემაგულიანებელი და ნივთი ვის გადასცა.

ამ გზით რომ ვერა უშველეს-რა და ვერ გასტეხეს ქალი, მერე სხვა მხრით მოუარეს.

— ხომ იცით, რომ ესა-და-ეს კაცი (გვარს უსახელებენ) ჩემი დაუცხრომელი მტერია, ერთი იმის ჯავრი მინდა ამოვიყარო, და ვერ გვიშველით.

— რატომ, დიდის სიამოვნებით,— მეცა მძულს ის კაცი.

— მაშ აი რა: გაიღვიძებთ თუ არა, საჩივარს დასწერთ და მოსამართლეს მიართმევთ. საჩივარში უნდა სთქვათ, რომ თქვენ სრულიად დამნაშავე არა ხართ, რომ ის ნივთი, რომლის მოპარვა თქვენ გბრალდებათ, თქვენ-კი არა, იმ ჩვენმა მტერმა მოიპარა-თქო, და თანაც დაუმატეთ, რომ თქვენ თქვენის თვალითა ჰნახეთ, როდესაც ის იმ ნივთს იპარავდა.

— მერე ეგ ხომ ტყუილი იქნება? მე ხომ ვიცი, რომ ნივთი მე მოვიპარე და არა იმან.

— რა ვუყოთ, სულ ერთია, თქვენ მაინც უნდა დასწეროთ საჩივარი იმ კაცზე.

— კარგი, თუმცა-კი, ვიმეორებ, ეგ საჩივარი უსამართლო იქნება.

— სცდებით, სამართლიანი იქნება. ვინ თქვენა, ეგეთი პატიოსანი ქალი, და ვინ ქურდობა, არა, თქვენ არ მოგიპარავთ. გესმით! მე თქვენ გეუბნებით, რომ თქვენ არ მოგიპარავთ, თქვენ იქ არც-კი ჰყოფილხართ ქურდობის დროს.

— მართლაც რომ მე არ მომიპარავს, ეხლა-კი დავრწმუნდი,—მე-კი არა, იმან მოიპარა.

— ხომ თქვენ თითონ ნახეთ, როცა იპარავდა.

— დიახ, დიახ, მე თითონ ვნახე...

— მაშ რაღას უყურებთ, დასწერეთ რაღა საჩივარი მოსამართლესთან.

— ეხლავ. რასაკვირველია, უნდა დავწერო, ჩემი მოვალეობაა, უნდა დავასმინო.

მართლაც-და, გამოიღვიძა თუ არა, დაჯდა და დასწერა ქაღალდი მოსამართლესთან, სადაც ეხლა თავს მართლულობდა და ქურდობას აბრალებდა იმ კაცს, რომელზედაც სხვებმა მიუთითეს და შთააგონეს, რომ ის არის იმ ნივთის მომპარავი, რომლის მოპარვა თქვენ ტყუილად გბრალდებათო.

ამ სახით ბევრს შეუძლიან ბოროტს საქმეში, ავ-კაცობაში გამოიყენოს ეს უცნაური ძალა. სამწუხაროდ, ევროპაში დღეს ბევრი კიდეც უჩივის ამას, ბევრი ხმარობს თურმე ამ ძალას ქურდობისათვის, ცრუ მოწმობისათვის და, უმეტესად-კი, ქალწულ ქალების შესაცდენად და ნამუსის ახახდელად.

ყველა ეს სამწუხაროა, რასაკვირველია, მაგრამ რა ვუყოთ,—ყველგან ასეა:—საცა კარგია, იქ ავიც არის, კეთილს ბოროტიც უთუოდ უკან დასდევს.

**

სიკეთე და სიკარგე-კი დღესაც ბევრი უჩანს ამ საოცარს ჰიპნოტურს ძალას. ავიღოთ ჯერ თუნდა ის, რომ ზოგიერთი სნეულება, როგორც, მაგალითად, ძარღვების სისუსტეა, სიდამბლე და ესრედ წოდებული «ჰისტერია», უებრალა რჩება ჰიპნოტობის შემწეობით, ე. ი. ჰიპნოტიურ ძილის დროს ბრძანებით, შთაგონებით.

მოგვყავს ერთი მაგალითი, რომელიც სწორედ რომ ისტორიაში ნამბობ სასწაულთ-მოქმედებას მოგვაგონებს.

ერთი ქალი ავად გახდა,—ხმა წაერთო, ყელი შეეკრა, ასე რომ სასმელ-საჭმელის ჩაყლაპვა აღარ შეეძლო. ჩავარდა საბრალო ლოგინად და ორ თითვეზე მეტი თავი ველარ აახწიია. ორი ექიმი განუწყვეტლივ თავს ადგა, ყოველს ღონის-ძიებას ხმარობდნენ, რომ სნეულისათვის რაიმე შვება მიეცათ, მაგრამ ვერას გახდნენ. ბოლოს გადასწყვიტეს, რომ ავადმყოფს ყელის ძარღვების სიდამბლე აქვსო. გაგებით-კი გაიგეს, მაგრამ შველით-კი ვერაფრით უშველეს. საბრალო ქალი სულ უკან-უკან მიდიოდა, საცოდავად გახდა და ძვალი და ტყავი-ღა შეჰრჩა.

როგორღაც უამბეს ამ ქალის სნეულება ერთს ექიმს, რომელიც ამასთანავე ჰიპნოტობასაც ყურადღებას აქცევდა თურმე. მოიყვანეს ეს ექიმი ავადმყოფთან. ექიმმა დააძინა ქალი ჰიპნოტობის შემწეობით და ძილში შთააგონა: თქვენ ავად არა ხართ, უნდა ასდგეთ, იაროთ, ილაპარაკოთ, სვათ და სჭამოთ. ბოლოს ასე გაათავა: «მე გიბძანებთ, რომ 15 წამის შემდეგ ასდგეთ ლოგინიდამ და ლაპარაკი დაიწყოთ.»

მართლაც-და გავიდა თუ არა 15 წამი, ავადმყოფს გამოეღვიძა. ქალი წამოდგა ლოგინიდამ, ძირს ჩამოვიდა, სთხოვა, რომ ტანისამოსი და ფეხსაცმელი ჩაეცვათ, ჯერ ამ ოთახშივე გაიარა და მერე მეორე ოთახშიაც გავიდა. მალე მადაც მოუვიდა, ჭამასმაც დაიწყო და ნელ-ნელ ჯანიც დაუბრუნდა.

სწორედ მოგახსენოთ, ეს ამბავი ისე ძნელად დასაჯერი მოგვაჩნდა, რომ ჩვენც ძლივ გავბედავდით ამის აქ მოყვანა. მაგრამ ჯერ ერთი ის, რომ ორი ექიმი ჰმოწმობს ამ ამბავსა, და მეორე, ზოგიერთი გარემოება გვარწმუნებს, რომ ეს შესაძლო უნდა იყოს.

**

ამ ხანებში გამოსულა ერთი ვრცელი წიგნი, რომელიც საკუთრად ჰიპნოტობას შეეხება. ამ წიგნში სხვა ბევრ საყურადღებო ამბავთა შორის მოყვანილია რამდენიმე მართლა რომ საოცარი მაგალითი. რამდენიმე გამოჩენილი მეცნიერი, რომელთაც სიტყვებს და მტკიცებას ვერ შეწამებთ, ჰმოწმობენ, რომ ჰიპნოტობის შემწეობით შესაძლოა შემდეგი მოვლენა გამოიწვიოთ კაცშიო. მაგალითად, შთააგონოთ ჰიპნოტურ ძილის დროს, რომ ამა-და-ამ დროს სხეულზე, ვთქვათ, ესა-და-ეს მუწუკი გამოგივათ, და მართლაც მოუვიდებათ; ან ჯან-მთელს კაცს უთხრათ, რომ ამა-და-ამ დროს ჭირი ოფლს დაგასხამსო, და მართლაც დაასხამს. თუ ეს შესაძლოა, რატომ წინად ნაამბობი-კი არ უნდა იყოს შესაძლო. თუ სნეულების გამოწვევა შეიძლება ჰიპნოტურ შთაგონებით, რატომ მორჩენა-კი არ შეიძლება.

დიახ, ბატონებო, ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გაუგებარი, საიდუმლო, მაგრამ იმედია, მეცნიერება ამ საიდუმლოებასაც მალე ჩაჰკიდებს ხელსა, და მაშინ ამ უცნაურ ძალას, ჰიპნოტობას, ჩვენც სულ სხვა თვალით დავუწყებთ ყურებას.

მანამ-კი:—

ბევრი რამ სდება, ჰორაციო, ზეცა და ქვეყანა,
რაც ფილოსოფოსთ საზმრად არ-კი მოეჩვენებიათო,—

გავათავებთ ჩვენს საუბარს ჰამლეტის სიტყვებით.

დონ-იაგო

ცვალა სამუილ სალომონის ძე პოლიაკოვი.

**პარიჟი.** ლონეა ნალონი, თუ ვინიცობაა არეულობა და აშლილობა რამ მოხდა; პარიჟის მეციხვანე ჯარის ერთს ნაწილს ებრძანა, რომ ყაზარმებიდგან ფეხი არსად მოიცვალონ.

ბულანჟეს ლაპარაკი ჰქონდა გაზეთების კორრესპონდენტებთან და სთქვა, რომ ჩემი დეპუტატად ამორჩევა მხოლოდ პალატის დათხოვნასა და კონსტიტუციის გადასინჯვასა ჰნიშნავს, ომს-კი არაო; მე მშვიდობიანობასა ვარ მოწადინებული და ამასვე ვიქმნები ყოველთვის მოწადინებული, რა მდგომარეობაც უნდა მომანიჭოს ქვეყანამაო. ჯერ-ჯერობით არავინ იცის, როგორ შეჰხედავს მთავრობა კონსტიტუციის გადასინჯვის საქმეს.

ზოგიერთნი წევრნი მამულის მოყვარეთა საზოგადოებისანი წინააღმდეგნი არიან: დერულედს კვლავ ნულარ ამოვირჩევთ საზოგადოების საპატიო თავ-მჯდომარედაო.

**ვენა.** დეპუტატთა პალატაში კალნოკიმ განმარტა პროგრამა „მლადოჩეხებისა". კალნოკიმ სთქვა, რომ გერმანიასთან კავშირი მხოლოდ გერმანიისათვის არის სახეიროვო; ეს კავშირი იმიტომ უნდა ბისმარკს, რომ ახალი ომი აუტეხოს საფრანგეთსა და ამასთან, თუ გარემოებამ ნება მისცა, არც იმას იუარებს, ავსტრიასაც ისეთივე რამე დასჭმართოს, როგორიც 1866 წელს დასჭმართაო. გრეგერმა ურჩია პალატას, რუსეთს მივემხროთო. თუ ავსტრია ნებას მისცემს რუსეთს, რომ მან იქონიოს თავისი კუთვნილი გავლენა ბალკანიის ნახევარ კუნძულზე, ავსტრიას შეეძლება სამუდამოდ შემოიერთოს ბოსნია და ჰერცოგოვინაო და თავის დროზედ სალონიკიც დაიჭიროსო. დასასრულ კალნოკიმ გამოაცხადა, რომ «მლადოჩეხები» უარს ამბობენ და არ უნდათ გარეშე საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტი შეიწყნარონო. ფინანსთა მინისტრი ავსტრიისა და გერმანიის კავშირის სარგებლობას ამტკიცებდა და არწმუნებდა პალატას, რომ მას აქეთ, რაც ეს კავშირი შეიკრა, ავსტრიის საერთა-შორისო მნიშვნელობამ იმატაო.

**პარიჟი.** პალატამ 379 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 177 გამოაცხადა, რომ ვენდობი მთავრობას და დარწმუნებული ვარ, პატივის-ცემას მოუპოვებს რესპუბლიკას და დაიცავს პოლიტიკას ცვლილებათა შემოღებისას და თავისუფლებას, რომელიც ქვეყანას სწყურიანო. შეწყნარებულ იქმნა წინადადება კონსტიტუციის გადასინჯვის თაობაზე. პალატის კრებანი გადაიდო შაბათამდე. კრების შემდეგ ბულანჟე ახდილის ეტლით დაბრუნდა „დე-ლუვრის" სასტუმროში, 5 ათას და 6 ათასამდე ბრბო ხალხისა აღტაცებით მიჰყვა გზაში.

**ბერლინი.** იმპერატორი ცოტა არ იყოს უკეთ არის, მაგრამ ჯერ მაინც ისევ ლოგინში წევს.

8 აპრილი

**პარიჟი.** გუშინ პალატაში ფლოკემ წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც ის აზრი გაატარა, რომ მდგომარეობა, როგორც ჰფიქრობენ, ისე საშიში არ არის, მაგრამ მაინც სამწუხაროა. მინისტრმა ითხოვა, კაბინეტს ნდობა გამოუცხადეთ, ხოლო მე თვითონ-კი კონსტიტუციის გადასინჯვის მომხრე ვარო. ამასთანავე მინისტრმა სთქვა: სჯობია მოვუცადოთ იმ დროს, როდესაც მონარქისტები კონსტიტუციის გადასინჯვას რესპუბლიკის წინააღმდეგ და დიქტატორობის დადგენის საბაბად ვერ გამოიყენებენო.

**ბერლინი.** გუშინდელს ბიულეტენში, რომელიც საღამოზედ გამოაცხადეს, მოხსენებულია, რომ იმპერატორი ცოტა უკეთა გრძნობს თავსაო; დილით დიდ-ძალი ჩირქი სდიოდა. საზოგადოება მაინც ძალიან შეწუხებულია. როგორც კერძო ცნობებიდგანა სჩანს, შიში აქვთ, რომ ჩირქმა სისხლი და ფილტვები არ მოუწამლოსო. ეს უკანასკნელი ღამე მემკვიდრე პრინცმა გაატარა სნეულის მამის სასახლეში.

პეტერბურგის ბირჟა 5 აპრილი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო. | — ,, | — ,, | 9 65 |
| ტამოჟნის კუპონები . | — ,, | — ,, | 192 |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . . . | — ,, | — ,, | 1 41 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . | — ,, | — ,, | 267¾ |
| —მეორისა . . . . . | — ,, | — ,, | 243¾ |
| გირავნობ. ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპჱ (1888) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ 7396.
ძველი ინდიქტიონი მე-14,
ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1888 წლის ზედ-ნადებია—25.

აპრილი 30 დღით არის.

9 დღე შაბათი. წამ. ევპსიხიასი და ვადიმისა. კათოლ. მარიამისა. სომეხ. ხაროში ჩაგდება დიდ-მოწამის სომეხთა განმანათლებელის გრიგოლისა. მუსულ. მე-10 რიცხვი თთვისა შაბანისა, 1305 წ. ჰიჯრისი.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—58. ტფილისში მზე ამოდის 5—11, ჩადის 6—47. მთვარე 11 დღისაა.

10 დღე კვირა. ღირსთა ტერენტისა და მაქსიმესი. კათოლ. მარიამ ეგვიპტელისა. მუსულ. მე-11 რიცხვი თთვისა შაბანისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—58. ტფილისში მზე ამოდის 5—9, ჩადის 6—49. მთვარე 12 დღისაა.

11 დღე ორშაბათი. წამება მარტიანინისა. კათოლ. ლეონისა. მუსულ. მე-12 რიცხვი თთვისა შაბანისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—58. ტფილისში მზე ამოდის 5—7, ჩადის 6—50. მთვარე 13 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 აპრილიდამ 16 აპრილამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა . . | 3 | » |
| 2 › | 2½ | » |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | › |
| › » 2 › | 3½ | › |
| › › 3 › | 3 | › |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | › |
| 1-ლის ხარისხისა . . | 5 | › |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 | › |
| მე-3 — . . . | › | › |
| მროხის ხორცი . . . | 9 | › |
| › 2 › | 8 | › |
| სუკი . . . . | 16 | › |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 12 | › |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. | » | › |
| › 2 › | » | › |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა

შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით. პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით—დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით; ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით, რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს კადაზე გემები.

კვირაობით, საღამოზე, და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკეობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისაკენ, ხოლო თუ საჭიროა, ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანაოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

## მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. | სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დილით | | | | | დილით | | | |
| ტფილისი. | — | — | 8 | 49 | ბათუმი.... | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა.... | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი. | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა.... | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები.... | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი ..... | 10 | 3 | 10 | 05 | სუფსა ..... | 9 | 55 | 10 | 2 |
| კასპი...... | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი... | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი ... | 10 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი... | 10 | 51 | 10 | 53 |
| გორი..... | 11 | 25 | 11 | 40 | საჯავახო ... | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი ... | 12 | 8 | 12 | 11 | სამტრედია. | 11 | 33 | 11 | 51 |
| გომი ...... | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი. | 12 | 13 | 12 | 16 |
| ხაშური..... | 1 | 2 | 1 | 17 | რიონი...... | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი...... | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი .... | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი........ | 2 | — | 2 | 3 | ყვირილა... | 1 | 58 | 2 | 10 |
| ბეჟათუბანი. | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა .... | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი... | 3 | 45 | 3 | 48 | ბელაგორი . | 3 | 17 | 3 | 20 |
| ბელაგორი.. | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი... | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა..... | 4 | 45 | 4 | 48 | ბეჟათუბანი. | 4 | 18 | 4 | 37 |
| ყვირილა... | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი ....... | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი.... | 6 | 14 | 6 | 16 | | საღამოთი | | | |
| | საღამოთი | | | | სურამი...... | 6 | 2 | 6 | 5 |
| რიონი ..... | 6 | 29 | 6 | 44 | ხაშური..... | 6 | 17 | 6 | 32 |
| კოპიტნარი, | 7 | 08 | 7 | 10 | გომი ....... | 6 | 50 | 6 | 54 |
| სამტრედია. | 7 | 29 | 7 | 49 | ქარელი..... | 7 | 16 | 7 | 19 |
| საჯავახო... | 8 | 5 | 8 | 7 | გორი ...... | 7 | 44 | 7 | 54 |
| ნიგოითი ... | 8 | 27 | 8 | 30 | გრაკალი.... | 8 | 15 | 8 | 17 |
| ლანჩხუთი .. | 8 | 42 | 8 | 46 | კასპი ....... | 8 | 40 | 8 | 43 |
| სუფსა....... | 9 | 19 | 9 | 27 | ქსანი ...... | 9 | 7 | 9 | 39 |
| ნატანები.... | 9 | 52 | 9 | 55 | მცხეთა ..... | 9 | 28 | 9 | 34 |
| ქობულეთი. | 10 | 22 | 10 | 25 | ავჭალა...... | 9 | 52 | 9 | 54 |
| ბათუმი ... | 11 | 13 | — | — | ტფილისი. | 10 | 15 | 10 | 46 |

ქუთაისიდან გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 50 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დილით | | | | | დილით | | | |
| ტფილისი. | — | — | 3 | 21 | სურამი. . . | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა . . | 3 | 46 | 3 | 49 | ხაშური . . | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა . . | 4 | 19 | 4 | 25 | გომი . . . | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი . . . | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი . . | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი . . . | 5 | 24 | 5 | 29 | გორი . . . | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი. . | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი . . | 5 | 46 | 5 | 51 |
| | საღამოთი | | | | | დილით | | | |
| გორი. . . | 6 | 31 | 6 | 45 | კასპი. . . . | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი. . . | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი. . . . | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი . . . | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთა. . . | 7 | 24 | 7 | 32 |
| ხაშური . . | 8 | 24 | 8 | 38 | ავჭალა . . | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი . . | 8 | 50 | — | — | ტფილისი . | 8 | 24 | — | — |


## განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში მესამე სახელმძღვანელო წიგნი მიხეილ ნასიძისა:

**ქართველი მწერლები**

**ვახტანგ მე-VI.**

ფასი 15 კაპ.

(10—4)

## კაბინეტი

ანუ სამკითხველო გაზეთებისა და ჟურნალებისა. ტფილისის სასახლის ქუჩა, არწრუნისეული ქარვასლა, ლანგოს მაღაზიის გვერდზედ, № 93.

სამკითხველოში მოდის საზღვარ-გარეთისა, რუსეთის სატახტო ქალაქებისა და აქაური გაზეთები და ჟურნალები.

კაბინეტი ღია არის დილის 9 საათიდამ საღამოს 9 საათამდე.

ფასი შესვლისათვის ერთი შაური.

(3—1)

დავიწყეთ გაყიდვა სრულიად უმიმარის

**შვედურის საიჩქებისა,**

რომელიც ბევრად განკარგებულია და გაუმჯობესებული, თეთრი ალი აქვს და ფრიად იაფადაცა ღირს. ნარდად მყიდველთ ბევრი დაეთმობათ.

**ქარხანა**

გ. ბ. ტერ-ასატუროვისა და კº. ვერაზე, ტფილისის ქალაქში.

(50—48)

**წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნთ-საწყობში**

**(Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земельн. Банка, № 109,110)**

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ანბანი განაზე საკერი, გ. ტატიშვილისა . . . . . . | ,, | 20 |
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა . . . . . . | ,, | 15 |
| ფშაური ლექსები, გაზ. «ივერიის» გამოცემა. . . . . | ,, | 40 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ . . . . | ,, | 30 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა. . . . . . . . | ,, | 50 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. . . . | 3 | ,, |
| სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებლისა (რუსულს ენაზე) . . . . . | 3 | 50 |
| საუკეთესო ცოდნა გიორგი წერეთლისა მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . | ,, | 20 |
| ოტელო შექსპირის ტრაგედია ი. მაჩაბლის ნათარგმნი ინგლისურიდამ . . | ,, | 50 |
| ჩატეხილი ხიდი შენიშვნები «ოთარაანთ ქვრივზე» . . | ,, | 15 |


Доз. цен. Тиф., 8 апрѣля 1888 г. Типографія А. А. Михельсона, Гол. Проспектъ въ д. Читахова. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე